ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2531896

ნომერი: AR1393993

თარიღი : 06.04.2016

გაცემის თარიღი : 08.04.2016

გაცნობის თარიღი : 08.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი რუსთავი , N 19 , კორპუსი 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მაისურაძე პ/ნ 01030043216
- თბილისი ო.ქინქლაძის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სამუშაოების განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საპროექტო კიბის საფეხურზე მიეწეროს მასალა და ზომები და აღნიშნულის მოსაწყობად წარმოდგენილი იქნას - ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი)28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

2.წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო სარეკონსტრუქციო არეალის მონიშვნით და ასევე წარმოდგენილი იქნას რეესტრში დაცული ნახაზი (რის საფუძველზეც მოხდა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში)და აღნიშნულის საფუძველზე დამუშავებული საპროექტო (სარეკონსტრუქციო) გეგმა დეტალური ზომების დატანით;

3.გაითვალისწინეთ ,ვინაიდან საპროექტო ფართობის ამონაწერი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით საპროექტო ფართი შპს "ეს - ემ - ბი "–ს და სახელმწიფოს თანასაკუთრებაა, წარმოსადგენია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა აღნიშნული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ;

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.